

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  
სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (შემდეგში – სკოლა) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის (შემდეგში – მაკეტი) რეცენზირების წესსა და პროცედურებს, ადგენს რეცენზირების თითოეულ ეტაპზე გამოსაყენებელ კრიტერიუმებს, ასევე - საჯარო განხილვის წესს.
2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით (შემდეგში - გრიფირების წესი) განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი

1. მაკეტის რეცენზირებას, ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად, ახორციელებს რეცენზენტებისაგან დაკომპლექტებული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, კერძოდ:
  - ა) შინაარსობრივ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს:
    - ბ.ა) მასწავლებლისგან;
    - ბ.ბ) დარგის მეცნიერისგან;
    - ბ.გ) ფილოლოგიისგან (ქართული ენის);
    - ბ.დ) ბავშვთა ფსიქოლოგისაგან.
  - ბ) ტექნიკურ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის/სპეციალისტებისაგან;
2. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფში შემავალი რეცენზენტი სააგენტოს მიერ შეთავაზებულ დროში ვერ უზრუნველყოფს მისთვის გადაცემული სახელმძღვანელოს/სერიის ყველა ალტერნატიული მაკეტის რეცენზირებას, სააგენტო უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულება გაუფორმოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის ერთზე მეტ რეცენზენტობის კანდიდატს სარეზერვო (სათადარიგო) სიიდან ან რეცენზენტს - შესაბამისი საგნობრივი ჯგუფიდან და მოახდინოს სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების გადანაწილება ამავე საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №226

### მუხლი 3. რეცენზენტობის კანდიდატების შერჩევა და წარდგენა

1. რეცენზენტობის, მათ შორის, სარეზერვო (სათადარიგო) კანდიდატების შერჩევას და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის (შემდგომში - სააგენტო) წარდგენას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო).
2. შერჩეული რეცენზენტობის კანდიდატები, მათ შორის, სარეზერვო (სათადარიგო) კანდიდატები, მათი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვით, სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ წარედგინება სააგენტოს, რომელიც აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.
3. სააგენტოსთვის წარდგენილი რეცენზენტობის კანდიდატის მიერ შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შეუძლებლობის (მაგალითად, კანდიდატის უარი ან ინტერესთა კონფლიქტის არსებობა) ან არსებული შრომითი ურთიერთობის ამა თუ იმ მიზეზით გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია რეცენზენტობის კანდიდატი/რეცენზენტი ჩაანაცვლოს ახალი კანდიდატით სარეზერვო (სათადარიგო) სიიდან.

### მუხლი 4. გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა

რეცენზირებისა და მოსაზრებების განხილვის პროცესი წარმოებს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის - [www.grifireba.emis.ge](http://www.grifireba.emis.ge) (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) გამოყენებით,

რომლის მუშაობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

#### მუხლი 5. რეცენზირება და ბარიერი

1. მაკეტის რეცენზირება ხორციელდება სერიულად, ორ ეტაპად:

ა) შინაარსობრივი რეცენზირება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს წინასწარი შეფასებისა და არსებითი შეფასების ეტაპებს:

ა.ა) წინასწარი შეფასების ეტაპზე რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ადგენს მაკეტის შესაბამისობას ამ წესის დანართ N2-ში განსაზღვრულ N1.1 მოთხოვნასთან;

ა.ბ) არსებითი შეფასების ეტაპზე რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ახორციელებს მაკეტის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობის დადგენას და შეფასებას ამ წესის დანართი N2-ში განსაზღვრულ ყველა მოთხოვნასთან და ინდიკატორთან. აღნიშნული ეტაპი შეეხება მხოლოდ იმ მაკეტს, რომლის თითოეული კლასის მაკეტმა გაიარა ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპი და წინასწარი შეფასებით დააკმაყოფილა ამ წესის დანართ N2-ში განსაზღვრული N1.1 მოთხოვნა.

ბ) ტექნიკური რეცენზირება.

2. მაკეტი ტექნიკური რეცენზირებას გაივლის თუ:

ა) სერიის თითოეულმა მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე გადალახა ინდიკატორებისთვის (ცალკე მაკეტისთვის და ცალკე სერიისთვის) დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულების 79%-იანი მინიმალური ზღვარი (ბარიერი),

ბ) მაკეტი სრულად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს/ სერიისათვის დადგენილ მოთხოვნებს,

გ) მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

#### მუხლი 6. შინაარსობრივი რეცენზირება

1. შინაარსობრივი რეცენზირებისას წარმოებს მაკეტის შესაბამისობის დადგენა შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან), რა დროსაც ფასდება:

ა) მაკეტის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლის ენობრივი განათლებისა და

კოგნიტური/პიროვნული/ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარების დონესთან მიმართებაში;  
ბ) მთლიანი სერიის (სერიაში შემავალი ყველა მაკეტისათვის ერთად) კონცეფტუალური ერთიანობა. გამონაკლისია I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მაკეტი, რომლის მიმართაც ეს პუნქტი არ ვრცელდება.

გ) სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის შესაბამისობა სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.

2. მაკეტის შინაარსობრივი რეცენზირება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ხორციელდება ქულობრივად (1, 2, 3, 4 ან 5 ქულა), ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში - შეფასებით „აკმაყოფილებს“ ან „არ აკმაყოფილებს“.

3. რეცენზენტი, ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით (მასწავლებელი, ბავშვთა ფსიქოლოგი, ფილოლოგი (ქართული ენის) ან დარგის მეცნიერი), რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე იყენებს დანართი N2-ში განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმთა (ინდიკატორების ან/და მოთხოვნების) ნაკრებს.

#### მუხლი 7. ტექნიკური რეცენზირება

1. ტექნიკური რეცენზირებისას დგინდება მაკეტის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის) შესაბამისობა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 ივლისის N621 ბრძანებით დამტკიცებულ ტექნიკურ კრიტერიუმებთან (დანართი N1). უცხოურ ენაზე შედგენილი მაკეტის ტექნიკური რეცენზირებისას გამოიყენება ტექნიკური კრიტერიუმების მხოლოდ პირველი, მე-6, 8.2-8.5, მე-9, მე-10 და მე-11 მოთხოვნები.

2. ტექნიკური რეცენზირებისას მაკეტის შესაბამისობა ტექნიკური კრიტერიუმების თითოეულ მოთხოვნასთან გამოიხატება „აკმაყოფილებს“ ან „არ აკმაყოფილებს“ შეფასებით.

3. ტექნიკური რეცენზირება ჩაითვლება დაძლეულად, თუ:

ა) მაკეტი (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტი) სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ კრიტერიუმებს (მოთხოვნებს).

ბ) თითოეულ მაკეტში (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალ თითოეულ მაკეტში) ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

#### მუხლი 8. რეცენზირების შედეგების შეჯამება

ელექტრონული სისტემა მაკეტის რეცენზირების შედეგებს ადგენს, ავტომატიზებულიად:

- ა) რეცენზიის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ქულობრივი სისტემით შეფასებულ მონაცემებს - დანართი N3-ში განსაზღვრული ალგორითმის შესაბამისად;
- ბ) რეცენზიის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონაცემებს - „აკმაყოფილებს“ და „არ აკმაყოფილებს“ მატრიცულად, თითოეული მოთხოვნის და რეცენზენტის ჭრილში.

#### მუხლი 9. რეცენზიის გაცნობა

რეცენზირების დასრულების შემდეგ, სააგენტო ელექტრონული სისტემის მეშვეობით განმცხადებელს აცნობს საგნობრივი ჯგუფის მიერ შედგენილ რეცენზიას/რეცენზიებს, რეცენზენტთა ვინაობის კონფიდენციალობის დაცვით.

#### მუხლი 10. რეცენზენტთა ვინაობის გასაჯაროვება

რეცენზენტის ვინაობა (გვარი, სახელი) საჯაროვდება მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, შესაბამისი განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესით.

#### მუხლი 11. საჯარო განხილვა

1. მაკეტი (ანონიმური ეგზემპლარი) რომელიც გადალახავს შინაარსობრივი შეფასების წინასწარი შეფასების ეტაპს, საჯარო განხილვისათვის ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე მინისტრის მიერ დადგენილი ვადით.
2. ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მაკეტის საჯარო განხილვაში, რაც მას შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე ([grifireba.emis.ge](http://grifireba.emis.ge)) განთავსებულ მაკეტებს და სურვილის შემთხვევაში სამინისტროს წინაშე, ამავე ელექტრონული ფორმით (ამისათვის გამოყოფილი ტექნიკური საშუალებით, პირადი ინფორმაციის

მითითებით), დააფიქსიროს მაკეტზე თავისი დასაბუთებული შენიშვნა ან/და მოსაზრება შემდეგი კატეგორიზაციით:

ა) “შინაარსობრივი შეცდომა” - იგულისხმება სახელმძღვანელოს მაკეტში ფაქტობრივი და ინფორმაციული შეუსაბამობები;

ბ) “ტექნიკური ხარვეზი” - იგულისხმება სახელმძღვანელოს მაკეტში გამოვლენილი ნებისმიერი ტექნიკური ხასიათის ხარვეზი;

გ) “რეკომენდაცია/მოსაზრება” - იგულისხმება სახელმძღვანელოს მაკეტის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებული წინადადება ან/და იდეა ამა თუ იმ სიახლის გათვალისწინების შესახებ.

3. საჯარო განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნები ან/და მოსაზრებები დამუშავდება (დახარისხება, ანალიზი) და თანაბრად ხელმისაწვდომია განმცხადებლისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფისათვის მას შემდეგ, რაც რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს დასრულებული აქვს მაკეტის შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპი, კერძოდ, შედგენილი აქვს რეცენზია.

4. საჯარო განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნა/მოსაზრებების დამუშავება გულისხმობს მათ თემატურ დახარისხებას (მაგალითად: „საგანი“, „მაკეტის ID“, „კლასი“, „კრიტიკული“, „პოზიტიური“, „ინფორმაციული“, „ბუნდოვანი“, „არათემატური“ და სხვა) და შინაარსობრივ ანალიზს (მოკლე შინაარსი). შინაარსობრივი ანალიზი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად კონკრეტიზებული, ასევე უცენზურო, არაკორექტული და პატივისა და ღირსების შემლახველი გამონათქვამების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარეშე.

5. საჯარო განხილვის შედეგები (გარდა „არათემატური“ ინფორმაციის შემთხვევისა) მიეწოდება შესაბამის განმცხადებელს (ცნობისთვის) და შინაარსობრივ ან ტექნიკურ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში, შენიშვნის/მოსაზრების ავტორის ანონიმურობის დაცვით) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს (მსჯელობისა და შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად).

6. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი განიხილავს და საჭიროებისამებრ იზიარებს საჯარო განხილვის შედეგებს ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.

7. შენიშვნა ან/და რეკომენდაცია, რომელიც არ დააკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობას არ გადაეცემათ რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს და განმცხადებელს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 მარტის ბრძანება №198

## მუხლი 12. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

რეცენზენტთან, საგნობრივ ჯგუფთან და რეცენზირებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით სააგენტო შეიმუშავებს და იყენებს კოდირების სისტემას.

## მუხლი 13. გრიფირების კომისია

1. რეცენზირების საბოლოო შედეგები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება გრიფირების კომისიას, რომლის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს მინისტრი.

2. რეცენზირების საბოლოო შედეგები იმ მაკეტებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ არსებობს გრიფირების წესით დადგენილი გრიფის მინიჭების საფუძვლები, წარედგინება გრიფირების კომისიას.

3. გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა:

ა) გაეცნოს რეცენზირების/მოსაზრებების განხილვის ეტაპის შედეგებს. კერძოდ, უფლებამოსილი პირისგან/პირებისგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია გრიფის მისანიჭებლად წარმოდგენილი მაკეტების რეცენზირების/საჯარო განხილვის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში იხილოს ცალკეული რეცენზიები და მაკეტები;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

4. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

## რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მუშაობის ინსტრუქცია

### მუხლი 1. რეცენზირების პროცესი

1. რეცენზირება წარმოებს სახელმძღვანელოს/სერიის შეფასების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების გამოყენებით, წინამდებარე ინსტრუქციითა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გაცემული ინსტრუქციების საფუძველზე და ვადებში.
2. რეცენზირებას ახორციელებს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტი ინდივიდუალურად, საკუთარი კომპეტენციის საფუძველზე, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან კონსულტაციების გარეშე. რეცენზენტი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი უფლებამოსილია, სააგენტოს გადაწყვეტილებითა და მონაწილეობით, შეხვედრის ფორმატში განიხილოს საგნობრივი ჯგუფის რეცენზიის დასაბუთება ან/და იმსჯელოს რეკომენდაციების/მითითებების ურთიერთშეჯერებისა და რედაქციულად ჩამოყალიბების საკითხზე.
3. რეცენზენტისთვის ელექტრონულ სისტემაზე წვდომა უზრუნველყოფილია მისთვის განკუთვნილი User-ისა და პაროლის გამოყენებით.
4. მაკეტის შინაარსობრივი რეცენზირება წარმოებს ჰორიზონტალური შეფასების მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ალტერნატიული სახელმძღვანელოების/სერიების ერთი და იმავე კლასის მაკეტების ერთდროულ რეცენზირებას, დაბალი კლასიდან მაღალი კლასის მიმართულებით.
5. რეცენზენტი ვალდებულია რეცენზირებისას, მაკეტს კონკრეტულ ინდიკატორში მიანიჭოს 1-5 ქულა, შემდეგი მნიშვნელობით: 1 ქულა - „ვერ აკმაყოფილებს“; 2 ქულა - „ნაწილობრივ აკმაყოფილებს“; 3 ქულა - „საშუალოდ აკმაყოფილებს“; 4 ქულა - „უმეტესად აკმაყოფილებს“; 5 ქულა - „სრულად აკმაყოფილებს“.
6. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ დანართი N2-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მაკეტის შესაბამისობის საკითხი წყდება საგნობრივი ჯგუფის წევრთა (რეცენზენტთა) ხმათა უმრავლესობით.



7. თითოეული რეცენზენტის მიერ შედგენილი რეცენზია, განურჩევლად შეფასების შედეგისა, უნდა შეიცავდეს შინაარსობრივი კრიტერიუმის თითოეულ ინდიკატორში მინიჭებული ქულის ან/და „მოთხოვნაში“ მითითებული შეფასების დასაბუთებას (განმარტებას).

8. მაკეტისათვის კონკრეტულ ინდიკატორში 1-4 ქულის მინიჭების ან „არ აკმაყოფილებს“ შეფასების შემთხვევაში, რეცენზენტი ვალდებულია დასაბუთებაში განმარტოს შეფასების საფუძველი და მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები/ადგილები მაკეტიდან, ხოლო 5 ქულის მინიჭების შემთხვევაში - კონკრეტული ძლიერი მხარეები.

9. იმ შემთხვევაში თუ რეცენზენტმა რეცენზირებისას დაადგინა, რომ ერთ მაკეტში ფიქსირდება ერთგვაროვანი ხასიათისა და კატეგორიის (მაგ. რედაქციული შეცდომები) ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული ერთგვაროვანი მაგალითების/ადგილების 5-ზე მეტი შემთხვევა, რეცენზენტი უფლებამოსილია არ ჩამოთვალოს ისინი (5-ზე მეტი) ამომწურავად, თუმცა აღნიშნოს ასეთის განმეორებადობის შესახებ მაკეტის დანარჩენ ნაწილებში.

## მუხლი 2. საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინება

1. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ეცნობა შესაბამის მაკეტზე საჯარო განხილვის შედეგებს (შენიშვნებს და/ან მოსაზრებებს).

2. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი უფლებამოსილია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნები ან/და მოსაზრებები, ასევე, დააკორექტიროს (დააზუსტოს) მის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაცია.

3. საჯარო განხილვის შედეგების გაზიარების შესახებ რეკომენდაცია მიიღება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის თითოეული წევრის მხარდაჭერის შემთხვევაში, თუკი საგნობრივი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაკეტზე გამოთქმული შენიშვნა ან/და მოსაზრება მიმართულია მაკეტის გაუმჯობესებაზე, საკმარისად დასაბუთებულია და მისი გათვალისწინება განპირობებულია აუცილებლობით.

4. საჯარო განხილვის შედეგებზე საგნობრივი ჯგუფის გადაწყვეტილება (გაზიარებული რეკომენდაციები) ეცნობება განმცხადებელს.

## მუხლი 3. მაკეტზე რეკომენდაციის/მითითების გაცემა

1. საგნობრივი ჯგუფი უფლებამოსილია მიზანშეწონილობის შემთხვევაში კონკრეტული კრიტერიუმის (მოთხოვნა/ინდიკატორი) ფარგლებში გასცეს რეკომენდაცია (შინაარსობრივი

რეცენზირებისას - არსებითი შეფასების ეტაპზე) ან მითითება (ტექნიკური რეცენზირების ეტაპზე) იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

ა) რეკომენდაცია/მითითება გამიზნულია მაკეტის შინაარსობრივი ან ტექნიკური გაუმჯობესებისკენ;  
ბ) მაკეტი შესაბამის კრიტერიუმში შეფასებულია, როგორც „არ აკმაყოფილებს“ (მოთხოვნის შემთხვევაში) ან 3-4 ქულით (ინდიკატორის შემთხვევაში);

გ) რეკომენდაცია/მითითება შეეხება ისეთ საკითხს ან საკითხებს, რომელთა გათვალისწინება მაკეტში (კონკრეტულ ადგილას, გვერდზე ან გარეკანზე) გამოიწვევს ლოკალურ და შესაბამისი კრიტერიუმით გაზომვად/შემოწმებად შედეგს.

2. განმცხადებლისათვის გაცნობამდე რეკომენდაცია/მითითება (შეფასების გარეშე) ხელმისაწვდომია ამავე რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის, რეცენზენტთა ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვით. საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტი ვალდებულია გაეცნოს გამოთქმულ რეკომენდაციებს/მითითებებს და დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მათ.

3. რეკომენდაცია/მითითება, რომელმაც მოიპოვა საგნობრივი ჯგუფის უმრავლესობის მხარდაჭერა, აისახება საგნობრივი ჯგუფის რეცენზიაში და განმცხადებლისთვის სავალდებულოა გასათვალისწინებლად.

4. განმცხადებელი ვალდებულია მაკეტზე რეცენზიის (რეკომენდაციების/მითითებების) გაცნობიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა განახორციელოს მაკეტის (სერიაში შემავალი ყველა მაკეტის) შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური) თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი უფლებამოსილია წევრთა ნახევარზე მეტის მხარდაჭერის შემთხვევაში დაადგინოს განსხვავებული ვადა კორექტურისთვის.

5. განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაკეტი რჩება იგივე შეფასებით და გრიფირების შემდეგ ეტაპზე აღარ განიხილება.

6. ერთსა და იმავე საკითხზე რეკომენდაცია/მითითება შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთხელ.

7. განმცხადებლისათვის მაკეტზე რეკომენდაციის/მითითების გაცნობად ჩაითვლება ელექტრონულ სისტემაში მისი გამოქვეყნება განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე და ფორმით.

#### მუხლი 4. მაკეტის კორექტურა და ავთენტურობის (შესატყვისობის) შემოწმება

1. განმცხადებელი რეკომენდაციის/მითითების შესაბამისად კორექტირებულ მაკეტს წარუდგენს სააგენტოს მიერ შერჩეულ გარანტორს. გარანტორისთვის წარდგენილ უნდა იქნას მაკეტის ერთი სრული, გამოსაცემად გამზადებული ელექტრონული ვერსია PDF ფორმატში, DPI – არანაკლებ 3 600, შესაბამის ელექტრონულ რესურსთან ერთად (თუ ასეთი რესურსის აუცილებლობა დადგენილია შესარჩევი ერთეულით).
2. გარანტორი უზრუნველყოფს კორექტირებული მაკეტის კონვერტაციას PDF ფორმატში, (DPI – არაუმეტეს 600) და კონვერტირებული ფაილების მიწოდებას სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის, რომელიც მათ განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.
3. კორექტირებული მაკეტი ავთენტურობის დასადგენად უბრუნდება რეცენზენტთა შესაბამის საგნობრივ ჯგუფს, რა დროსაც იგი ადგენს განხორციელებული კორექტურის შესატყვისობას მის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან/მითითებასთან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ავთენტურობის შემოწმებისას, რეკომენდაციის/მითითების გამცემი საგნობრივი ჯგუფი ხელახალი რეცენზირების გზით ადგენს მაკეტის შესაბამისობას „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ დანართი N2-ით განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმთან, კორექტირებული ნაწილის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ:
  - ა) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უცვლელად ტოვებს არსებულ შეფასებას;
  - ბ) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უფლებამოსილია განახორციელოს ხელახალი შეფასება, შესაბამისი დასაბუთების (განმარტების) თანხლებით.
5. რეცენზენტს ეკრძალება მაკეტის რეცენზირება სხვა ნაწილში გარდა კორექტირებული ნაწილისა და შესაბამისად - ადრე განხორციელებული შეფასებისაგან განსხვავებულად შეფასება.
6. მაკეტში განხორციელებული კორექტურის ავთენტურობა რეკომენდაციასთან/მითითებასთან სავალდებულოა დადასტურდეს საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრის მიერ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

### რეცენზირების შედეგების დაანგარიშების ალგორითმი

ამ მეთოდის გამოყენებით წარმოებს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საბოლოო ქულის გამოთვლა ერთი საგნობრივი ჯგუფის რეცენზენტის მიერ თითოეული კლასის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე შედგენილი რეცენზიის საფუძველზე.

მეთოდი გულისხმობს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საბოლოო ქულის გამოთვლას შემდეგი ეტაპების გავლით:

#### 1. კალკულაცია ინდივიდუალური რეცენზენტის ჭრილში:

- 1.1. ინდიკატორის შეწონილი ქულის გამოანგარიშება - თითოეულ ინდიკატორში ერთი კლასის მაკეტისთვის მინიჭებული ქულის (1-5 ქულა) ამ ინდიკატორის წონაზე გამრავლება ;
- 1.2. კრიტერიუმის შეწონილი ქულის გამოანგარიშება - ინდიკატორის შეწონილი ქულების ჯამის კრიტერიუმის წონაზე გამრავლება;
- 1.3. კლასის მაკეტის შეწონილი ქულის გამოანგარიშება - კრიტერიუმების (გარდა სერიის კონცეფტუალური ერთიანობის კრიტერიუმისა) შეწონილი ქულების დაჯამება;
- 1.4. სერიის კონცეფტუალური ერთიანობის ქულის გამოანგარიშება - შესაბამისი კრიტერიუმის ინდიკატორების შეწონილი ქულების დაჯამება (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სერია მოიცავს ერთი კლასის მაკეტს).

#### 2. კალკულაცია საგნობრივი ჯგუფის ჭრილში:

- 2.1. ჯგუფის შეფასება ერთი კლასის მაკეტისათვის გამოიანგარიშება შეწონილად, სადაც ბავშვთა ფსიქოლოგის შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 10 %-ს, ხოლო 90% ნაწილდება ჯგუფის სხვა წევრებს შორის თანაბრად (გარდა ფილოლოგიისა (ქართული ენის), რომლის შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 10%-ს), ჯგუფის დაკომპლექტების მიხედვით.
- 2.2. სერიის საბოლოო ქულის გამოანგარიშება - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტისთვის ჯგუფის შეფასებათა საშუალო არითმეტიკულისა (ხვედრითი წილი - 80%) და სერიის კონცეფტუალური ერთიანობის ქულის საშუალო არითმეტიკულის (ხვედრითი წილი - 20%) შეწონვა.

სერიისთვის, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი კლასის მაკეტისაგან, სერიის საბოლოო ქულა უდრის ჯგუფის შეფასებას ერთი კლასის მაკეტისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №226

დაწვებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები

| კრიტერიუმი 1 - შინაარსის შეფასება (გამოიყენება ნებისმიერი საგნის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირებისათვის) |                                                                                                                                                                                                                                                      | ინდიკატორის იყენებს  |                       |                                                             |                |                                                |                         |              |              |                 |                   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-----------------------|-------------------------------------------------------------|----------------|------------------------------------------------|-------------------------|--------------|--------------|-----------------|-------------------|
| ინდიკატორები                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                      | მოსწავლის წიგნისთვის | მოსწავლის რეველისთვის | მასწავლებლის წიგნისათვის (ელ.რესურსთან ერთად ან მის გარეშე) | ქულა 1-2-3-4-5 | ინდიკატორის წონა (მასწავლებლის შემოთავაზებაში) | დასაბუთება (განმარტება) | რეკომენდაცია |              |                 |                   |
| 1.1                                                                                                                | შინაარსი (თემატიკა, დავალებები და სხვა) ითვალისწინებს მოსწავლის წინაშე დგას გამოცდილებას, ასაკობრივ თავისებურებებს (ინტერესებს, შესაძლებლობებს და სხვა). აქტიურებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ეხმარება საკითხის სრულყოფილად ათვისებაში | •                    | •                     | •                                                           |                | 20%                                            |                         |              | მასწავლებელი |                 | ბავშვთა ფსიქოლოგი |
| 1.2                                                                                                                | ინფორმაცია სანდო და ზუსტია, ტერმინების, ცნებების, ფაქტების, მოვლენების, პროცესების აღწერილობა შინაარსობრივად გამართულია და შემოთავაზებულია ძირითად საკითხებთან დაკავშირებით                                                                          | •                    | •                     | •                                                           |                | 15%                                            |                         |              | მასწავლებელი | დარგის მკვნიერი |                   |
| 1.3                                                                                                                | სათანადო ყურადღება ეთმობა სასწავლო მასალის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას                                                                                                                                                                          | •                    | •                     | •                                                           |                | 15%                                            |                         |              | მასწავლებელი |                 | ბავშვთა ფსიქოლოგი |
| 1.4                                                                                                                | წარმოდგენილი თვალსაზრისი (სქემატიკა, დიაგრამები, ცხრილები, ილუსტრაციები და სხვ.) შესაბამისობაშია თემატიკისა და ხელს უწყობს შინაარსის აღქმას გააზრებას. თვალსაზრისითაა განმარტებული შესატყვისი საკითხთან, შინაარსობრივად გამართულია                   | •                    | •                     | •                                                           |                | 15%                                            |                         |              | მასწავლებელი | დარგის მკვნიერი | ბავშვთა ფსიქოლოგი |
| 1.5                                                                                                                | დამატებითი საგანმანათლებლო ზეგავლენის ან/და ელექტრონული რესურსების სახით მოცემულია სასწავლო გეგმასთან შესატყვისი წყაროები, სასწავლო პროცესში მათი გამოყენების კონკრეტული რეკომენდაციები                                                              | •                    | •                     | •                                                           |                | 10%                                            |                         |              | მასწავლებელი |                 |                   |
| 1.6                                                                                                                | ინფორმაცია ობიექტურია, ავტორი არ ახდენს თავისი დამოკიდებულებებით მკითხველზე ზეგავლენას და საკუთარი გასწავლებისა და შეხედულების დეკლარირებას                                                                                                          | •                    | •                     | •                                                           |                | 5%                                             |                         |              | მასწავლებელი |                 | ბავშვთა ფსიქოლოგი |
| 1.7                                                                                                                | მოცემული დავალებები/აქტივობები ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების დამყარებას                                                                                                                                                                       | •                    | •                     | •                                                           |                | 10%                                            |                         |              | მასწავლებელი | დარგის მკვნიერი |                   |
| 1.8                                                                                                                | შინაარსი ხელს უწყობს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად                                                                                    | •                    | •                     | •                                                           |                | 10%                                            |                         |              | მასწავლებელი | დარგის მკვნიერი | ბავშვთა ფსიქოლოგი |

| კრიტერიუმი 2 - სწავლების მეთოდიკა და შეფასება (გამოიყენება წებისმიერი საგნის სახელმძღვანელოს/წერიის მაკეტის რეგულირებისათვის) |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    | მოსწავლის<br>წინასწარ | მოსწავლის<br>რეგულირების | მასწავლებლის<br>წინასწარ<br>(ელ.რესურსთან ერთად<br>ან მის გარეშე) | ქულა 1-2-3-<br>4-5 | ინდიკატორის<br>წონა<br>(მასწავლებლის<br>ს მეთოდულ/მეცნიერულ) | დასაბუთება<br>(განმარტება) | რეკომენდაცია |              |                    |                      |  |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|--------------------------|-------------------------------------------------------------------|--------------------|--------------------------------------------------------------|----------------------------|--------------|--------------|--------------------|----------------------|--|
| ინდიკატორები                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                       |                          |                                                                   |                    |                                                              |                            |              |              |                    |                      |  |
| 2.1                                                                                                                           | საკვანძო საკითხები მუშავდება თანამიმდევრულად, სათანადო ყურადღება ეთმობა მოსწავლის<br>გეგმიური/დაგეგმიური მუშაობის, განსაზღვრების, წესის, მოვლენისა და სხვათა<br>გაცნობიერებასთან                                                                                                                                                                                                                                                                                                   | *                     | *                        | *                                                                 |                    | 20%                                                          |                            |              | მასწავლებელი | დარგის<br>მეცნიერი | ბავშვთა<br>ფსიქოლოგი |  |
| 2.2                                                                                                                           | საკითხის დამუშავებისას ყურადღება ეთმობა ცოდნის განმტკიცებას, რისთვისაც გამოიყენებულია<br>სხვადასხვა ხერხი, მოცემული დავალებები და აქტივობები მრავალფეროვანია და ხელს უწყობს<br>აქტიურ სწავლას (სწავლის თანამართ, აღმოჩენით, კითხვით, თანამშრომლობით, კლასში, პრაქტიკის<br>გადატანით და სხვა), ლოგიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი საზოგადოებრივი უნარების<br>განვითარებას                                                                                                         | *                     | *                        | *                                                                 |                    | 20%                                                          |                            |              | მასწავლებელი | დარგის<br>მეცნიერი | ბავშვთა<br>ფსიქოლოგი |  |
| 2.3                                                                                                                           | მოსწავლისთვის განკუთვნილი ტექსტები და ინსტრუქციები (მაგალითად,<br>დავალების/სავარჯიშო/ტესტირების პირობა და ა.შ.) საინტერესოა, თანამიმდევრული, ადვილად<br>აღქმადი და მეთოდურად გამართულია, ითვალისწინებს საგნობრივ სპეციფიკას, ხელს უწყობს მისი<br>მოტივაციას და ცნობისმოყვარეობის გაზრდას, უზრუნველყოფს მათი ცოდნის შეტანას და<br>თვითგანვითარების/იძლევა დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას                                                                                     | *                     | *                        | *                                                                 |                    | 20%                                                          |                            |              | მასწავლებელი | დარგის<br>მეცნიერი | ბავშვთა<br>ფსიქოლოგი |  |
| 2.4                                                                                                                           | მასწავლებლის წინაშე მდგომარეობს ალტერნატივა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის წინაშე არსებული<br>მსხვილი სტრუქტურული ერთეულის (თავი/თემა/ზოგი) ფარგლებში დასაბუთი მიზნის მიღწევა:<br>წარმოდგენილია წინასწარ თუ რეგულარული აქტივობების, დავალებების შესასრულებლად საჭირო<br>ინსტრუქციები და ახსნა-განმარტებები                                                                                                                                                                        | 0                     | 0                        | *                                                                 |                    | 10%                                                          |                            |              | მასწავლებელი |                    |                      |  |
| 2.5                                                                                                                           | მასწავლებლის წინაშე მოცემულია მოსწავლისთვის განკუთვნილი ამოცანების ამოხსნის გზები,<br>საჭიროების შემთხვევაში - რეკომენდაციები და დამატებითი ცნობები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                | 0                     | 0                        | *                                                                 |                    | 5%                                                           |                            |              | მასწავლებელი | დარგის<br>მეცნიერი | ბავშვთა<br>ფსიქოლოგი |  |
| 2.6                                                                                                                           | თითოეული მსხვილი სტრუქტურული ერთეულისათვის (თავი/თემა/ზოგი) წარმოდგენილია<br>მეთოდური რეკომენდაციები და ინსტრუქციები (დავალებები, რეზიუმეები, ინსტრუქციები)<br>განმავითარებელი (მათ შორის, თვითშეფასების) და განმსაზღვრელი შეფასებისთვის                                                                                                                                                                                                                                           | 0                     | 0                        | *                                                                 |                    | 5%                                                           |                            |              | მასწავლებელი |                    |                      |  |
| 2.7                                                                                                                           | შემაჯავებელი შეფასების განსახილველად წარმოდგენილია საზოგადოებრივი უნარების<br>განვითარებაზე მიმართული შესაბამისი კონტენტის მქონე მრავალფეროვანი დავალებების ნიმუშები<br>(კლასი, ჯგ. კლასში აქტივობა, მიმოხილვა, სიტუაციური ამოცანა, წერილობითი ანგარიში,<br>პროექტი, მონაცემთა ბაზის, ხელშეწყობის ნიმუშის, მუსიკალური კომპოზიციის, მხატვრული ტექსტის<br>შექმნა და სხვა), რომლებსაც ახლავს სათანადო პირობა და შეფასების კრიტერიუმების სქემა<br>(შეფასების/თვითშეფასების რეზიუმეები) | 0                     | 0                        | *                                                                 |                    | 10%                                                          |                            |              | მასწავლებელი |                    | ბავშვთა<br>ფსიქოლოგი |  |
